



საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

ინფორმაცია დასაქმებულისა და დამსაქმებლების უფლება-მოვალეობების თაობაზე

საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტის აღსრულების მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო N181-ე დადგენილება „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ყველა დაშვებული ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, უნდა განხორციელდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად. ხსენებული რეკომენდაციების შესრულება სავალდებულოა.

ზემოხსენებული რეკომენდაციების შესრულების მნიშვნელობისა და სავალდებულო ხასიათის გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველი მიზანშეწონილად მიიჩნევს საზოგადოებას მიაწოდოს მეტი ინფორმაცია მათ შესახებ (რეკომენდაციები სრული სახით ხელმისაწვდომია

<https://www.moh.gov.ge/ka/741/>

აღნიშნული რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ მიმართოთ ჯანდაცვის სამინისტროს (ცხელი ხაზი - 1505; დაავადებათა კონტროლის ცხელი ხაზი - 116 001) ან შსს -ს - 112. ასევე, თქვენი უფლებების დარღვევების შემთხვევაში შეგიძლიათ მიმართოთ სახალხო დამცველის აპარატს ცხელ ხაზზე - 1481.

ზოგადი რეკომენდაციები, რომელიც ყველასთვის სავალდებულოა შესასრულებლად და მიესადაგება ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორს

დამსაქმებლის ვალდებულებები:

- შეიმუშაოს ინფექციური დაავადებებისთვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა (საგანგებო სიტუაციების გეგმა), რომელიც COVID-19-გან დაცვის ღონისძიებების წარმართვაში დაეხმარება მათ. აღნიშნულ გეგმებში უნდა გაიწეროს სხვადასხვა სამუშაო ადგილებთან და დავალებებთან დაკავშირებული რისკის დონე (ძალიან მაღალი, მაღალი, საშუალო და დაბალი);

- შეიმუშაოს იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც COVID-19-ის ნიშნები და/ან სიმპტომები გააჩნიათ და ტრენინგები უნდა ჩაუტარონ თანამშრომლებს მათ განხორციელებაში;
- უზრუნველყოს სამუშაო ადგილებზე სადებიზინფექციო სამუშაოების ჩატარება და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც განსხვავებულია რისკების დონეების გათვალისწინებით;
- უზრუნველყონ თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, რომელიც საჭიროა მათი უსაფრთხოებისათვის სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელებისას;
- უზრუნველყონ სამუშაო ადგილზე მოქნილი სამუშაო რეჟიმის შემუშავება და განხორციელება, ავადმყოფობის გამო შვებულების პოლიტიკის მოქნილობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ მითითებებთან მისი შესაბამისობა;
- უზრუნველყონ COVID-19-ის შესახებ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის განცხადებების/ინფორმაციის მონიტორინგი და ამ ინფორმაციაზე თანამშრომლების ხელმისაწვდომობა;
- სამუშაო ადგილზე უზრუნველყოს ხელის დაბანის შესაძლებლობა, შესაბამისი საპნითა და სხვა ჰიგიენური საშუალებებით. ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხით უზრუნველყოს თანამშრომლები;
- ერთჯერადი ხელსახოცებისა და ნაგვის ყუთების უზრუნველყოფა მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის;
- საშუალო რისკის მქონე სამუშაო ადგილებზე¹ სადაც შესაძლებელია, უნდა დამონტაჟდეს ფიზიკური ბარიერები, როგორცაა დაცემინებისაგან დამცავი გამჭვირვალე პლასტმასის შირმები.

დასაქმებულთა ვალდებულებები:

- დაიცვან სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები, სოციალური დისტანცია სამუშაო ადგილებზე;
- არ გამოცხადდნენ სამუშაო ადგილზე თუ: მათ ბოლო 14 დღის დატოვებს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ან მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან; აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა,

¹ სადაც თანამშრომლებს მოეთხოვებათ ხშირი ან/და მჭიდრო კონტაქტის ქონა (2 მეტრზე ნაკლები) იმ ადამიანებთან, რომლებიც არ წარმოადგენენ COVID-19 -ით დაინფიცირებულ ან დაინფიცირებაზე საეჭვო პაციენტებს. მაგ: მრავალრიცხოვანი/მჭიდრო სამუშაო ადგილები, საცალო ვაჭრობის ან სხვა ობიექტები, სადაც ხდება საზოგადოების თავშეყრა.

ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.); არიან 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

სამშენებლო სექტორისთვის დამსაქმებლის ვალდებულებები:

- იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად (ადმინისტრაციული პერსონალი), მაქსიმალურად უზრუნველყოს მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;
- მოსასვენებელი ოთახის/სასადილო ოთახის შესასვლელში განათავსოს დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- უზრუნველყოს დასაქმებულები სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, ჩაფხუტი, ხელთათმანი, რესპირატორი) და დააწესოს კონტროლი მათ გამოყენებაზე.

რეკომენდაციები სასაზღვრო-გამშვები პუნქტებისთვის, იმ თანამშრომლების დასაცავად, რომელთაც ევალებათ საზღვრის დაცვა/კონტროლი და თერმოსქრინინგის ჩატარება

- სამუშაოს დაწყების წინ უნდა გაკონტროლდეს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- შემომსვლელ მგზავრთაგან განცალკევების მიზნით გამოყენებულ იქნეს გამჭვირვალე ფიზიკური ბარიერები საზღვრის დაცვის ოფიცრებისა და სხვა მუშაკებისთვის;
- გამოიყენონ სპეციალური განცალკევებული ზონები, როგორცაა, მაგალითად: სპეციალური, იზოლირებული ოთახები დასაკეტი კარით, რათა მოხდეს იმ მგზავრთა იზოლაცია, რომლებიც სავარაუდოდ COVID-19-ით არიან დაინფიცირებულები, მათ შორის ისინიც, ვინც ადასტურებენ ინფექციის სიმპტომებისა და/ან ნიშნების არსებობას.
- თუ მუშაკები ატარებენ მგზავრთა თერმოსქრინინგს, გამოიყენონ უკონტაქტო (თერმული სენსორი) თერმომეტრები, რათა თავიდან აირიდონ მუშაკთა შეხება დაავადებულ მგზავრებთან და მაქსიმალური დისტანცია დაიცვათ მუშაკსა და ასეთ მგზავრს შორის;
- მგზავრთა შორის დისტანციის დასაცავად გამოყენებულ იქნეს სავალდებულო პირობითი ნიშნები (მონიშნეთ იატაკზე სტიკერების სახით);
- დახურულ სივრცეში მოხდეს მგზავრთა ნაკადის რეგულირების უზრუნველყოფა;

- ერთჯერადი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გახდის/მოხსნის ადგილებზე განთავსდეს ბიოლოგიურად სახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი შესაბამისი კონტეინერი და უზრუნველყონ ნარჩენების გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

რეკომენდაციები სასტუმროებისთვის

- სტუმრებს ჩამოსვლისთანავე მიაწოდოს ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- უზრუნველყოს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოსტერების მიწოდება და განთავსება სასტუმროს თვალსაჩინო ადგილებში;
- თუ სასტუმროს რომელიმე სტუმარს გამოუვლინდა აღნიშნული სიმპტომები უზრუნველყოს მისი იზოლირება და დაუყოვნებლივ შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს;
- გამოყენებული ჰიგიენური საშუალებები განთავსდეს დახურულ კონტეინერებში და უზრუნველყოფილ იქნეს მათი დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- რეგისტრატორის მაგიდასთან დროებით დამონტაჟდეს გამჭვირვალე ტიპის დამცავი ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული წვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი.

რეკომენდაციები მომსახურების სექტორისთვის (ბანკები, ავთიაქები და სავაჭრო ობიექტები)

- სამუშაოს დაწყების წინ უნდა გააკონტროლონ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- იქ, სადაც შესაძლებელია სამუშაოს შესრულება განხორციელდეს დისტანციურად, უზრუნველყონ მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;
- პერიოდულად, დღეში რამდენჯერმე უზრუნველყონ დახურული სივრცეების/სათავსების ბუნებრივი ვენტილაცია და სამუშაო ადგილების სველი წესით დასუფთავება და დეზინფექცია;
- მუშაობის მიმდინარეობისას, სამუშაო დროის განმავლობაში დააწესონ სანიტარული შესვენებები. გამიყოს პირი, რომელიც დაამუშავებს სამუშაო პლატფორმას შესაბამისი წესით;

- ეცადონ მოძებნონ ნაღდი ფულის გამოყენების შემცირების გზები. წახალისოს დისტანციური გადახდები;
- მობილური/ქალაქის ტელეფონის გამოყენების შემთხვევაში უზრუნველყონ მისი პერიოდული დამუშავება შესაბამისი წესით;
- შეზღუდონ მომხმარებლების და ფართო საზოგადოების დაშვება ობიექტებზე, ან ისინი მხოლოდ განსაზღვრულ სამუშაო არეალში დაუშვან. დაწესდეს კონტროლი და შემუშავდეს შესაბამისი სქემა მომხმარებელთა ნაკადის ეტაპობრივ დაშვებაზე;
- სამუშაო მაგიდეზე, იქ სადაც დასაქმებულს უწევს კონტაქტი ვიზიტორთან, დროებით დაამონტაჟონ გამჭვირვალე დამცავი ბარიერი, რათა მაქსიმალურად იქნას აცილებული წვეთოვანი გზით ინფიცირების რისკი ან უკიდურეს შემთხვევაში თანამშრომლები უზრუნველყოს სახის ფართი, ხელთათმანითა და შესაბამისი რესპირატორით;
- ვიზიტორთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენოს სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით).

რეკომენდაციები სატრანსპორტო სექტორისთვის

- სამუშაოს დაწყების წინ გააკონტროლონ პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- უზრუნველყონ დასაქმებულებისა და მგზავრებისთვის გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება;
- უზრუნველყონ გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- მოეწყოს დროებითი დამცავი გამჭვირვალე ბარიერი სატრანსპორტო საშუალების მძღოლის კაბინასთან.

ზოგადი რეკომენდაციები სამთო-მოპოვებითი სექტორისთვის

დამსაქმებელი ვალდებულია:

- სამუშაოს დაწყების წინ გააკონტროლოს პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობა;

- უზრუნველყოს თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორი, საჭიროების შემთხვევაში ხელთათმანი, სახის ფარი და შესაბამისი სათვალე) და დააწესოს კონტროლი მათ გამოყენებაზე;
- იმ თანამშრომლებთან დაკავშირებით, რომელთაც შეუძლიათ სამუშაოს შესრულება დისტანციურად, მაქსიმალურად უნდა იყოს უზრუნველყოფილი მუშაობის ამგვარი მეთოდის გამოყენება;
- შესაძლებლობის ფარგლებში დააწესოს შეზღუდვები სამუშაო დროზე. გამოიყენეთ თანამშრომელთა როტაცია;
- რეკომენდირებულია ერთ სამუშაო უბანზე, დახურულ სივრცეში, არაუმეტეს 10 ადამიანის ერთობლივი მუშაობა, შესაბამისი დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ-სა);
- უზრუნველყოს სამუშაო პროცესის დაწყებამდე, სამედიცინო პერსონალის მიერ დასაქმებულთა შემოწმება ვირუსის სიმპტომებთან დაკავშირებით;
- დაატრენინგოს თანამშრომლები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაში.